ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01182262728**
თარიღი: **14/08/2018**
პინი: **5860**

ადრესატი: შპს მოდული
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205035914
მისამართი: საბურთალოს ქ.,№43 ბ

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 03 აგვისტოს #10/01182151283-18 განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (შპს „ტყე-მეტყევეს“ ექსპერტის, ალექსანდრე აფციაურის 2018 წლის 8 თებერვლის №3 მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ, ქ. თბილისში, ჩაჩავას ქ. №2-4-6-8-10-ის (ს.კ.: 01.13.02.004.053) ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრისა და გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი“) მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) მე-3 თავის, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად კერძო საკუთრებაში არსებული ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა და გადარგვა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისგან წერილობით ნებართვას არ საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას/გადარგვას. ვინაიდან ტერიტორიაზე არსებული 3 ძირი (#15,#16,#17) ალუბალი, 1 ძირი (#18) ქლიავი, 8 ძირი (#19, #44, #69, #73, #74, #75, #77, #79) ჭერამი და 1 ძირი (#21) ლეღვი (სულ 13) არის ხილ-კენკროვანი მცენარეები და მათი რაოდენობა არ აღემატება 15-ს შესაბამისად მათ მოჭრასა და გადარგვას არ ესაჭიროება ნებართვა.

ასევე, გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე და წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი (#5, D=15) ვერხვი, 3 ძირი (#27-D=9,5, #28-D=11,2, #29-D=8,2) ბიოტა, 4 ძირი (#43-D=11,5, #80-D=6,1, #81-D=11,5, #82-D=8,2) ამერიკული ნეკერჩხალი, 2 ძირი (#45-D=12,2, #78-D=10,2) თუთა, 1 ძირი (#51-D=11,5) აკაცია, 12 ძირი (#50-D=6,8, #52-D=11,7, #53-D=6,5, #54-D=6,8, #56-D=6,5, #57-D=7,5, #59-D=7,8, #60-D=7,5, #61-D=8,5, #62-D=10,5, #64-D=6,5, #65-D=7,4) მინდვრის თელა ექვემდებარება გადარგვას, ასევე, ვინაიდან ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებისათვის უმჯობესია ჯანსაღი მცენარის გადარგვა იმავე ტერიტორიაზე ვიდრე მათი მოჭრა, შესაბამისად, სამსახური თანახმაა, პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, გადაირგოს 1 ძირი ვერხვი, 3 ძირი ბიოტა, 4 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 2 ძირი თუთა, 1 ძირი აკაცია და 12 ძირი მინდვრის თელა (სულ 23) იმავე ტერიტორიაზე ქ. თბილისში, ჩაჩავას ქ. №2-4-6-8-10-ის (ს.კ: 01.13.02.004.053), აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

ადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ 3 თვეში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ გადარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

დამატებით გაცნობებთ, რომ გადარგული მწვანე ნარგავების 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში დაგევალებათ საკომპენსაციო რგვის განხორციელება ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად. საკომპენსაციო რგვის ფარგლებში გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების სამწლიანი ვადის ათვლა ხელახლა იწყება ამ რგვის ჩატარების მომენტიდან.

ასევე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების მე-3 თავის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეებიდან 3 ძირი (#25,#26,#30) ვერხვი არის ზეხმელი და ავარიული; ასევე, მშენებარე შენობის ფუნდამენტში განთავსებული 29 ძირი (#8,#9,#11,#12,#13,#14,#20,#31,#32,#33,#34,#35,#39,#40,#41,#84,#85,#87,#88,#89,#90,#91,#93,#94, #95,#96,#97,#99,#100) აილანთუსი ავარიულია, შესაბამისად, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური გასცემს 3 (სამი) ძირი ვერხვისა და 29 ძირი აილანთუსის (სულ 32) მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოადგენთ საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 32 (ოცდათორმეტი) ძირი არანაკლებ 3.5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ნერგის დარგვა (დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოთ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან). საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს თქვენსავე ტერიტორიაზე ქ. თბილისში, ჩაჩავას ქ. №2-4-6-8-10-ის (ს.კ: 01.13.02.004.053) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

თუკი საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დარგული მწვანე ნარგავი გახმა რგვიდან 3 წლის განმავლობაში, დაგევალებათ ხელახალი საკომპენსაციო რგვა. საკომპენსაციო რგვის ფარგლებში გაშენებული მწვანე ნარგავების განმეორებითი რგვის განხორციელების შემთხვევაში ნარგავების მოვლის სამუშაოების სამ წლიანი ვადის ათვლა ხელახლა იწყება ამ რგვის ჩატარების მომენტიდან.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0160
ერციპალური სერვ
ეთარების სააგენ
ჟ. შარტავას, 7